საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

პირველი ჯგუფის შეხვედრა

ოქმი

თარიღი: 7 თებერვალი, 2024 წელი
დრო: 16:00 - 18:00
შეხვედრის ადგილი: Zoom

შეხვედრას
ესწრებოდნენ:

1. ნინო ჩხობაძე - ეროვნული პლატფორმის თანათავმჯდომარე, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
2. ეკა ციმაკურიძე - დემოკრატიის ინდექსი საქართველო
3. ლაშა ტუღუში - ლიბერალური აკადემია თბილისი
4. რეზო გეთიაშვილი - კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი
5. მაკა ჯახუა - ასოციაცია და რადიო მწვანე ტალღა
6. ირინა ფუტკარაძე - საზოგადოებრივი დამცველი
7. ალექსანდრა კალატოზიშვილი - ფონდი" სამოქალაქო განათლების განვითარების მულტიეთნიკური რესურსცენტრი"
8. ვახტანგ მაისაია - საქართველოს გეოსტრატეგიული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის კვლევების ინსტიტუტი
9. გიორგი ძამუკაშვილი - ადგილის დედა
10. მანანა წულაია - ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია, „ელკანა"
11. დათო ცისკარიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი
12. თენგიზ სვანიძე - საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია „საქართველოს ჩაი"
13. აკაკი ფანჩულიძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები

14. ტატა ბერიძე - ბუღალტერთა კავშირი
15. ლია თოდუა - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
16. კონსტანტინე ჟღენტი - საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია
17. ქეთევან ჯაფარიძე - დედები აზარტული თამაშების წინააღმდეგ
18. ნაზი ჯანეზაშვილი - საქართველოს სასამართლოს გუშაგი
19. ქრისტინე კილანავა - ასოციაცია" იმედი" დევნილ ქალთა მოძრაობა მშვიდობისათვის
20. გერმანე სალია - საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია
21. ქეთევან ცხაკაია - იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი ,,სპექტრი"

დღის წესრიგი

1. სასამართლოსა და პროკურატურის რეფორმა, ანტიკორუფციული მექანიზმების გაძლიერება

პირველი სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნა ჯგუფის კოორდინატორმა, ეკა ციმაკურიძემ.

სამუშაო შეხვედრაზე, პლატფორმის წევრი ორგანიზაციებს წარედგინათ ეროვნული პლატფორმის წევრი ორგანიზაციების მიერ მომზადებული საკანონმდებლო წინადადება, რომელიც სასამართლო სისტემის რეფორმას უკავშირდება.
საპარლამენტო წინადადების ავტორები:ლაშა ტუღუში-ლიბერალური აკადემია თბილისი (ეროვნული პლატფორმის წევრი), ეკა ციმაკურიძე-დემოკრატიის ინდექსი საქართველო (ეროვნული პლატფორმის წევრი), ვახტანგ ხმალაძე.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პლატფორმის წევრი ორგანიზაციების მიერ მომზადებული საკანონმდებლო წინადადება, სრულად შეესაბამება და ასახავს ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის რეკომენდაციებს.
შეხვედრის მიმდინარეობისას, საკანონმდებლო წინადადების ავტორებმა წარადგინეს პრეზენტაცია, თუ რა ძირითად პრინციპებსა და ცვლილებებს მოიცავს მოიცავს აღნიშნული პაკეტი.

ავტორების მიერ შემუშავებული საკანონმდებლო წინადადება მოიცავს სხვადასხვა მიმართულებებს, კერძოდ: „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ" „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ", „პროკურატურის შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ", „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს კანონების პროექტებსა და

„საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტთან დაკავშირებით.

დისკუსიის ნაწილში, შეხვედრაში მონაწილე პირებს საშუალება ჰქონდათ დეტალური დამატებითი ინფორმაცია მიეღოთ სხვადასხვა საკითხებზე.

ავტორები საკანონმდებლო წინადადების დარეგისტრირებას საქართველოს პარლამენტში ხვალ, 8 თებერვალს აპირებენ.

სხდომის მდივანი:

ქეთევან ჭურაძე